ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1756758

ნომერი: AR1287944

თარიღი : 20.02.2015

გაცემის თარიღი : 27.02.2015

გაცნობის თარიღი : 02.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი 06/538) ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი 06/538) ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ორგანიზაცია:
- დავით ვაშაკიძე არქიტექტს კოდი: 405046258

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ ატვირთული ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო შენობის გეგმაზე მითითებული გაბარიტული ზომების მიხედვით, საპროექტო შენობა სცდება I კლასის მახასიათებლებს, გაითვალისწინეთ: I კლასის მახასიათებელია: 60 კვ.მ-მდე იატაკების ჯამური ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა, ასევე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა. თქვენს შემთხვევაში, საპროექტო შენობა არის 64.4კვ.მ. ამდენად ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენი იქნება ახალი დოკუმენტაცია ყველა გაბარიტული ზომის მითითებით.

გარდა ამისა: საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს „ფაინ თრი გრუპ“–ის დირექტორს წარმოადგენს არა თამაზ კონიაშვილი, არამედ დავით ჩიტიძე, შესაბამისად "მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს „ფაინ თრი გრუპ“–ის დირექტორის დავით ჩიტიძის მინდობილობა ან შესაძლებელია დარეგისტირდეს იგი თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.